



N 15-14/9223  
27/09/2021

9223-15-14-2-202109271619



ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს  
ბატონ ნიკოლოზ მარგველაშვილს

### სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [REDACTED] მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერების საკითხი. საქმისწარმოების ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატი სრულად გაეცნო დაცვის მხარის მიერ გადმოცემულ სისხლის სამართლის N [REDACTED] საქმის მასალებს.

დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საქმე მნიშვნელოვნად უკავშირდება კანონიერების პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას. მოცემული საქმე ასახავს საგამომიებო ორგანოს მხრიდან დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას, რომლის აღმოფხვრის სამართლებრივი შესაძლებლობა გააჩნია სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მოემართა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

### სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 43, პუნ. 2.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.<sup>2</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.<sup>3</sup>

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

### **ფაქტობრივი გარემოებები**

ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 263-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად,<sup>4</sup> გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინი“. ნივთიერება ამოღებულ იქნა მისივე ჩანთიდან, 2021 წლის 25 ივნისს, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში, საბაჟო კონტროლის გავლისას.

2021 წლის 27 ივნისს შედგენილ გამოკითხვის ოქმში ადასტურებს ამოღებული მედიკამენტის - პრეგაბალინის - გერმანიიდან საქართველოში შემოსვლის დროს ქონის ფაქტს, თუმცა აღნიშნავს, რომ ექიმის დანიშნულებით, 2020 წლის სექტემბრის შემდეგ სხვა მედიკამენტებთან ერთად სისტემატურად იღებდა მას, როგორც ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტს.

განმარტავს, რომ 2020 წლის სექტემბრის თვეში ქ. ბერლინში მარჯვენა ფეხზე მუხლის არეში ჩაუტარდა ოპერაცია, რა დროსაც დაუზიანდა ნერვი. ის ვერ გრძნობდა მარჯვენა ფეხის ტერფს, დარჩა ძლიერი ტკივილები, რის შემდეგაც სამედიცინო კონსილიუმის გადაწყვეტილებით უნდა ემკურნალა ნევროლოგთან. ნევროლოგმა სხვა პრეპარატებთან ერთად ძირითად მედიკამენტად განუსაზღვრა „პრეგაბალინი“, რაც მისთვის ცნობილი იყო, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მას ნევროლოგის დანიშნულებით რამდენიმეჯერ გაეზარდა მედიკამენტ „პრეგაბალინის“ დოზა. 75 მგ-დან საბოლოოდ ავიდა 300 მგ-იან დოზაზე, თუმცა

<sup>2</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55, პუნქ. 1.

<sup>4</sup> დოკუმენტის NBF0001526948VC (27.06.2021).

მორჩენილი დაბალი დოზები, ექიმის მითითებით, შეინახა, ვინაიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, უნდა მომხდარიყო დოზის შემცირება და ამ შემთხვევაში გამოიყენებდა მათ.

2021 წლის 21 ივლისს დაცვის მხარემ გამოძიებას გადასცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში [REDACTED] მკურნალობისა და მიღებული დანიშნულების ამსახველი, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტები.

2020 წლის 27 ოქტომბერს დასმული დიაგნოზით, [REDACTED] დაუდგინდა ქრონიკულ ტკივილთან დაკავშირებული დაავადებები.<sup>5</sup> პაციენტი მკურნალობის დაგეგმვის მიზნით ექიმთან კონსულტაციას ყოველთვე გადიოდა.<sup>6</sup> ყველა ვიზიტის დროს მდგომარეობის ანალიზით, ირაკლი გოგსამეს სხვა მედიკამენტებთან ერთად დაენიშნა მედიკამენტი „პრეგაბალინი“ კონკრეტული რაოდენობებით.<sup>7</sup>

ქ, ბერლინის (გერმანია) სამედიცინო დაწესებულების (Vivantes Clinic in Friedrichshain - Vivantes Klinikum im Friedrichshain)<sup>8</sup> მიერ 2021 წლის 27 ივნისს, ბრალდებულის დაკავების შემდეგ, გადმოგზავნილი დოკუმენტის თანახმად, [REDACTED] ამჟამად კლინიკაში გადის ანესთეზიოლოგიურ და ტკივილსაწინააღმდეგო მკურნალობას ნერვის დაზიანების დიაგნოზით, ქრონიკული ტკივილებით, რაც დაიწყო 2020 წლის 10 სექტემბერს ფეხზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ [REDACTED] განიცდის ქრონიკულ ნეიროპათიულ ტკივილებს, რომლებზეც ხდება მკურნალობა 9/2020-დან, Pregabalin-ის ამჟამინდელი დოზით 600 მგ/დღეში (2\*300 მგ). ასევე, მითითებულია, რომ პაციენტი დანიშნულ მედიკამენტს უთუოდ საჭიროებს ტკივილის შემცირებისთვის.

წერილის თანახმად, სამედიცინო დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამს, დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გასცეს სათანადო განმარტება.

ადვოკატის მიერ გამოკითხული ბრალდებულის მეუღლის - [REDACTED] განმარტებით<sup>9</sup>, [REDACTED] ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იმყოფებოდა იძულებით ბიულეტენზე, ვედარ ახერხებდა მუშაობას, დანიშნული ჰქონდა მედიკამენტები, მათ შორის „პრეგაბალინი“, რასაც გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რეცეპტის საფუძველზე იძენდა აფთიაქში, რეცეპტი კი ავადმყოფობის დიაგნოზით საერთაშორისო კოდით იგზავნებოდა სადაზღვეო კომპანიაში თანხის შემდგომი ანაზღაურების მიზნით. ვინაიდან მკურნალობის, ასევე,

<sup>5</sup> კომპლექსური რეგიონალური ტკივილის სინდრომი მარჯვენა (G90.79+RG), ქრონიკული მტკივნეული აშლილობა სომატური და ფსიქიკური ფაქტორებით (F45.41+G) + ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტი (R52.2+G). 2021 წლის 22 აპრილს მითითებულ დიაგნოზებს დამატა ასევე, მარჯვენა საჯდომი ნერვის დაზიანება (G57.0+RG) + ნევრალგია (M79.29+G).

<sup>6</sup> კერძოდ, პაციენტმა კონსულტაცია გაიარა 2020 წლის 27 ოქტომბერს, 9 ნოემბერს, 23 ნოემბერს, 16 დეკემბერს, 2021 წლის 21 იანვარს, 10 თებერვალს, 9 მარტს, 24 აპრილს, 31 მაისს.

<sup>7</sup> 1. 75 მგ - 56 ცალი; 2. 150 მგ - 100 ცალი; 3. 150 მგ - 100 ცალი; 4. 225 მგ - 100 ცალი; 5. 225 მგ - 100 ცალი; 6. 225 მგ - 100 ცალი; 7. 225 მგ - 100 ცალი; 8. 300 მგ - 100; 9. 300 მგ - დღეში 2 ჯერ მიღება.

<sup>8</sup> მისი [REDACTED] Berlin,

<sup>9</sup> 2021 წლის 27 ივნისის გამოკითხვის ოქმი.

სპეციალური თერაპიის კურსის გავლის მიუხედავად, მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, გადაწყვიტა გარკვეული ხნით საქართველოში დაბრუნება.

აღნიშნავს, რომ მისმა მეუღლემ ყველა მედიკამენტი, რაც კი ჰქონდა დანიშნულებით შეძენილი, ჩაალაგა ჩემოდანში. ვინაიდან პერიოდულად დანიშნული ჰქონდა სხვადასხვა დოზები, მას მთლიანობაში ექნებოდა მედიკამენტ „პრეგაბალინის“ ერთი ან ორი თვის მარაგი.

ავ. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ექიმის, ნევროლოგი განმარტებით,<sup>10</sup> G90.79+RG საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტით დადგენილი კლასიფიკატორის მიხედვით, დიაგნოზით ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს ძლიერი ტკივილები ნერვის დაზიანების შედეგად ქვედა კიდურში (კიდურებში). ასეთი სახის, ოპერაციის შემდგომი გართულების შემთხვევაში წარმოშობილი ნერვის ტკივილები ძლიერ ტანჯვას იწვევს ადამიანის, რაც შესაძლოა გაგრძელდეს წლების მანძილზე და საერთოდ არ განიკურნოს. შესაბამისად, სხვა მედიკამენტები ამ შემთხვევაში არ ინიშნება და ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ტკივილგამაყუჩებლები.

აღნიშნავს, რომ მედიკამენტი „პრეგაბალინი“ გამოიყენება პერიფერიული ნერვების (ხელები, ფეხები) დაზიანების დროს, ის არ არის ნარკოტიკული საშუალება და წარმოადგენს ფაქტობრივად ერთადერთ მედიკამენტს პერიფერიული ნერვების დაზიანების გაყუჩებისთვის.

### **სამართლებრივი დასაბუთება**

#### **ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი**

ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი (lex certa) კანონიერების პრინციპის უმთავრესი ელემენტია, რომლის მიზანი, ერთი მხრივ, პერსონალური ავტონომიის შეზოჭვა და დანაშაულის ჩადენის პრევენციაა, მეორე მხრივ კი - სახელმწიფოს შეზოჭვა, რომ მაქსიმალურად აღქმადი და ზუსტი ფორმულირებით ჩამოაყალიბოს ყველა დანაშაულისა და სასჯელის შინაარსი.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში იმ ქმედების თუ უმოქმედობის გამო, რომლის ჩადენის დროს აღნიშნული ქმედება ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის თანახმად არ წარმოადგენდა დანაშაულს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში: ევროპული სასამართლო) ითხოვს, რომ ნებისმიერი ნორმა, რომელიც აწესებს მსგავს სანქციას, იყოს

<sup>10</sup>2021 წლის 26 ივნისის გამოკითხვის ოქმი.

<sup>11</sup> Hart, Herbert Lionel Adolphus, Punishment and Responsibility, Oxford University Press, 1968, 47.

ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი ნორმის ნებისმიერი ადრესატისათვის.<sup>12</sup> განჭვრეტადობის პრინციპის პირველი და უმთავრესი გარანტია აკრძალული ქმედებების ნორმატიული და წინასწარი განსაზღვრაა. ეს გარანტია ასევე ვრცელდება სასჯელებზე.<sup>13</sup> მოქალაქემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა შემთხვევებში შეიძლება, გამოიყენოს სახელმწიფომ “დაშვებული იძულება”, რათა თავიდან იქნას არიდებული შერჩევითი სამართალი. სასამართლო დარღვევას ადგენს ისეთ საქმეებზე, სადაც ნორმის ადრესატს არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რომ მისი მოქმედება მის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას გამოიწვევდა, ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.<sup>14</sup>

განჭვრეტადობის, ანდა მაქსიმალური განსაზღვრულობის პრინციპის იდენტურია აშშ-ს სამართლებრივ დოქტრინაში ცნობილი “სამართლიანი გაფრთხილების” (fair warning) პრინციპი, რომელიც ნორმათა არაკონსტიტუციურობის ერთ-ერთი საფუძველია (void for vagueness).<sup>15</sup> ყველა მათგანი ერთი საერთო იდეის გარშემო ჩამოყალიბებული – მოქალაქე არის რაციონალური, ავტონომიური პირი, რომელსაც სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს სოციალურ-პოლიტიკური ვალდებულებიდან გამომდინარე და მისცეს მას მორალური არჩევნის გაკეთების უფლება - ჩაიდინოს თუ არ ჩაიდინოს დანაშაული.<sup>16</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად“.<sup>17</sup>

მკაფიო/კეთილსინდისიერი შეტყობინების პრინციპი საერთო სამართლიდან მომდინარეობს. როგორც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ჯერ კიდევ 1926 წლის, ფუნდამენტურ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, „კანონი ან ნორმა [...] რომელიც

<sup>12</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *The Sunday Times v. United Kingdom*, par. 49;

<sup>13</sup>*Menendez, Ignacio Villaverde, A Dialogue Between Courts: The Case-Law of the European Court of Human Rights and the Spanish Constitutional Court on the Principle of Legal Certainty*, in: *Multilevel Protection of the Principle of Legality in Criminal Law* (ed.: Manzano/Sanchez/Rosique), Springer International Publishing AG 2018, 39.

<sup>14</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Liivik v. Estonia*, 25 ივნისი 2009, § 104.

<sup>15</sup>*Kolender v. Lawson* (1983) 103 S Ct 1855.

<sup>16</sup>*Gardner, John, Rationality and the Rule of Law in Offences Against the Person*, *Cambridge Law Journal*, 1994, 502.

<sup>17</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისიაი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-30.

იმდენად ბუნდოვანია, რომ ჩვეულებრივი საზრიანობის მქონე ადამიანს არ შეუძლია მისი მნიშვნელობის გამოცნობაც კი არღვევს მართლმსაჯულების ფუნდამენტურ წესებს”.<sup>18</sup> ეს სახელმწიფოს განჭვრეტადობის რამდენიმე ელემენტის დაკმაყოფილებას ავალდებულებს, რაც მოგვიანებით *Sunday Times* საქმეში ჩამოყალიბდა:

- კანონი უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი;
- ნორმა უნდა იყოს საკმარისად მკაფიოდ (with sufficient precision) ჩამოყალიბებული, რათა მოქალაქემ შეძლოს საკუთარი ქმედების დარეგულირება;
- მოქალაქეს უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება და განჭვრეტა, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, რა შედეგი შეიძლება გამოიღოს ქმედებამ.<sup>19</sup>

ამავე ტესტს იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და მიუთითებს, რომ „პირს კონკრეტული ქმედების ჩადენისას კანონმდებლობა უნდა აძლევდეს საკმარისად ცხად და მკაფიო ინფორმაციას იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედება სამართალდარღვევას და როგორი იქნება კონკრეტული ქმედების განხორციელების შედეგად კანონის მასზე გავრცელების სამართლებრივი შედეგები. მაშასადამე, პირს კანონის მიხედვით უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა, არღვევს თუ არა ის კანონს, იმისათვის რომ შეძლოს, თავიდან აიცილოს კანონის დარღვევის ნეგატიური სამართლებრივი შედეგები. ამასთან, მეორე მხრივ, პირს უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმის თაობაზე, მის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში როგორი იქნება მოსალოდნელი პასუხისმგებლობის სიმძიმე, რა ტვირთს აკისრებს მას სახელმწიფო. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის განჭვრეტისა და პროგნოზირებისათვის, ამასთან, სახელმწიფოს ნებისმიერი თვითნებობის თავიდან აცილებისთვის.”<sup>20</sup>

ევროპული სასამართლო საკუთარ პრეცედენტულ სამართალში მსგავს ტესტს ავითარებს. ამასთან, სასამართლო განჭვრეტადობის დასადგენად განსაკუთრებულ როლს ანიჭებს კანონის ხელმისაწვდომობას.<sup>21</sup> ანალოგიურ სტანდარტებს აწესებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოც.<sup>22</sup>

### ნორმის დისპოზიციის რამდენიმე ელემენტის განმარტება

<sup>18</sup>Conally v General Construction Co (1926) 269 US 385, para. 391.

<sup>19</sup> Sunday Times v UK (1979) 2 EHRR 245, para. 49;

<sup>20</sup> საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/4/557,571,576, პარ #50 13 ნოემბერი, 2014.

<sup>21</sup>ECtHR judgement of 10 October 2006 Pessino v. France, para. 29.

<sup>22</sup>ECJ C-439/01 Judgment of 16. 1. 2003 Cipra and Kvasnicka, para. 47; ECJ C- 169/80 Judgment of 9.7. 1981 Gondrand Frbes and Garancini, para. 17; ECJ 257/86 Judgment of 21. 6. 1988 Commission v. Italy, para. 12; ECJ 325/85 Judgment of 15. 12. 1987 Ireland v. Commisson, para. 18.

წარდგენილი ბრალდება გულისხმობს ფსიქოტროპული ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანას. აღნიშნული დისპოზიციების ბაზისური ელემენტი ორივე შემთხვევაში ქმედების უკანონო ფორმით ჩადენაა. შესაბამისად, უნდა გაირკვეს, რას გულისხმობს მოცემული ქმედებების ჩადენა უკანონო ფორმით (რაც სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებელი საფუძველია) და არის თუ არა განსხვავება კანონიერ და უკანონო ფორმებს შორის საკმარისი იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს ნორმის განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნები.

*ა) ტერმინი „უკანონოს“ მნიშვნელობა დისპოზიციისთვის*

ფსიქოტროპული ნივთიერების კანონიერად ან უკანონოდ მოხმარებას შორის გამიჯვნის მიზნით, კანონმდებელი გამოყოფს ტერმინს „ექიმის დანიშნულებით“. კერძოდ, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, „უკანონო მოხმარებად განიხილება – სიებში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“.<sup>23</sup>

ამრიგად, ექიმის დანიშნულების არსებობის შემთხვევაში, ქმედება ნებადართულია და კანონსაწინააღმდეგო ნიშანი არ გააჩნია. ფსიქოტროპული ნივთიერების ექიმის დანიშნულებით მოხმარება ცალსახად გულისხმობს მის შეძენას, შენახვას, შემოტანას, გატანას, ვინაიდან მედიკამენტები შესაბამის ფარმაცევტულ დაწესებულებაში გაცივმა სათანადო რეცეპტის საფუძველზე და არ არსებობს ამკრძალავი ნორმა, რაც პირს უზღუდავს მითითებულ უფლებას.

*ბ) დისპოზიციით განსაზღვრული განზრახვის ფორმა*

მიმართ წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახ. თუ პირი ქმედებას გაუფრთხილებლობით ჩადის, მაშინ სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.<sup>24</sup>

ანალოგიურად განიმარტება განზრახვის საკითხი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 იანვრის განაჩენის თანახმად, პირი გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 262-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 262-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები მიეკუთვნება განზრახ დანაშაულთა კატეგორიას და, შესაბამისად,

<sup>23</sup> საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტი.

<sup>24</sup> მზია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, მე-5 გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 28-53.

ნარკოტიკული დანაშაულის უკანონო შემოტანა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვით, ისიც პირდაპირი განზრახვით, ანუ პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ უკანონოდ შემოაქვს ნარკოტიკული საშუალება და უკანონოდ ინახავს მას.<sup>25</sup> ეს განმარტება გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც.<sup>26</sup>

### გ) შეცდომა აკრძალვაში

აკადემიურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი კაზუსი, როდესაც პირი ექიმის დანიშნულებით ფლობს ფსიქოტროპულ ნივთიერებას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას და არ იცის, რომ აღნიშნული ნივთიერების ფლობა კონკრეტულ ქვეყანაში აკრძალულია. მსგავსი ტიპის კაზუსები ცნობილია, როგორც „შეცდომა აკრძალვაში“ და გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას. პირის მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა მისატყვებელია, რადგან პირმა არ იცოდა და, დანაშაულის არაკლასიკური ხასიათიდან გამომდინარე, არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ნორმით გათვალისწინებული ქმედება დასჯადი იყო.<sup>27</sup>

აღნიშნული პრინციპის განმარტებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეს სასამართლო პრაქტიკიდან მოჰყავს შემთხვევა:

*„მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ა., რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა რამდენიმე წლის განმავლობაში, დააკავეს თბილისის აეროპორტში, ვინაიდან მას ჩანთაში აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც საზღვარგარეთ შეიძინა ლეგალურად და არ იცოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ამ ნივთიერების შექმნა, შენახვა, გადაზიდვა დანაშაულს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან პირს არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, იგი არ უნდა დაისაჯოს ნარკოტიკული დანაშაულისთვის“.*<sup>28</sup>

აშკარაა, რომ [REDACTED] წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ დევნას აღნიშნული კაზუსი სრულად შეესაბამება. [REDACTED] მიერ ფსიქოტროპული ნივთიერების კანონიერ შექმნას ადასტურებენ მისი მკურნალი ექიმი, კლინიკა, არაერთი მოწმე და ნივთიერი მტკიცებულება, რაც გამორიცხავს მის მართლწინააღმდეგობის შეგნებას.

ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ [REDACTED] ნამდვილად შეიძინა აღნიშნული პრეპარატი ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე, მაშინ მის მიერ ჩადენილი ქმედება სამი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომწვევად:

<sup>25</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N2კ-356 აპ-17 განაჩენი.

<sup>26</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 მაისის განაჩენი.

<sup>27</sup> ტურავა მერაბ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, 220.

<sup>28</sup> იქვე, 222.



- ნორმების დისპოზიციებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება გამოირიცხება, თუკი პირს ფსიქოტროპული ნივთიერება შეძენილი აქვს კანონიერად, ექიმის დანიშნულების საფუძველზე;
- ნორმების დისპოზიციებით განსაზღვრული ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ უკანონოდ შემოაქვს ნარკოტიკული საშუალება და უკანონოდ ინახავს მას;
- ექიმის დანიშნულების საფუძველზე შეძენილი ნივთიერების იმ ქვეყანაში შეტანა, რომელიც კრძალავს აღნიშნული ნივთიერების ქონას, წარმოადგენს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც, პირს ექიმის დანიშნულებით, სამკურნალო მიზნით აქვს შეძენილი მედიკამენტი, მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ამ მედიკამენტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისთვის დაარღვევს კანონიერების პრინციპისა და განჭვრეტადობის პრინციპის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტებს.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [REDACTED] ბრალდების საქმე კანონიერების პრინციპის შემადგენელი - ნორმის განჭვრეტადობის (lex certa) პრინციპის პრაქტიკული განმარტებისთვის უადრესად მნიშვნელოვანია. წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერად შეძენილი ნივთიერების საქართველოში შემოტანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგება: (1) უშუალოდ ნორმის დისპოზიციას, რომელიც მოითხოვს ნივთიერების უკანონოდ შეძენას; (2) ქმედების სუბიექტურ მხარეს, რომელიც, საერთო სასამართლოების პრაქტიკით, პირდაპირი განზრახვის არსებობას მოითხოვს; (3) სისხლის სამართლის კოდექსის ავტორიტეტულ დოქტრინალურ განმარტებას, რომელიც იდენტურ კაზუსს განიხილავს, როგორც შეცდომას აკრძალვაში და პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას კრძალავს.

დამატებით, აღნიშნული საქმის განხილვა მნიშვნელოვანია ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. შესაძლოა, ექიმის დანიშნულებით გაცემული მედიკამენტის მიუღებლობამ გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება, ვინაიდან სამედიცინო დოკუმენტებით, [REDACTED] უთუოდ საჭიროებს მითითებული მედიკამენტის მიღებას. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლის<sup>29</sup> ზოგადი წესის გამონაკლისის სახით, მხარის შუამდგომლობის

<sup>29</sup> სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება) უნდა დაიწყო წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღისა, თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას არ განსაზღვრავს.

არარსებობის პირობებში, არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნულია დაგვიანებით, წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 14 დღის შემდეგ, 2021 წლის 27 ოქტომბერს.

ვიმედოვნებ, ქუთაისის საქალაქო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან მითითებული გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5- 

სახალხო დამცველი

